



ჯაბა იოსელიანი მიმშობლობას აპირებს



მსგავსება ფიურერსა და სააკაშვილს შორის

მთავარი პოლიტიკა **ეკონომიკა** საზოგადოება დაიჯესტი რეტრომედია ევროპა ირჩევს ხელოვნება სპორტი ბლოგი ვიდეო

Like Send Bookmarks Email

დიდი ჰესი და უდიდესი პრობლემები



2011-06-14 09:15:02

[ეკ ბაქრაძე]

იმერეთში საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი დიდი ჰესი შენდება. თუმცა, დიდმა პროექტმა, რომლის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, უკვე წარმოშვა უდიდესი პრობლემები. გაურკვეველია 1000-მდე ადამიანის ბედი, 4 სოფელს წყალი შთანთქავს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ თავმჯდომარის მანანა ქოჩლაძის ინფორმაციით, „ნამახვანის“

კასკადის მშენებლობით 14 სოფელი დაზარალდება, დაახლოებით, 800 ადამიანს გაასახლებენ. დაიტბორება 924 ჰექტარი მიწა (10 კვ.კმ), აქედან სასოფლო-სამეურნეო მიწებია, რომლებიც აქტიურად მუშავედნენ. 270 ჰექტარი კი ტყეებია.

„ასევე ზიანი მიადგება ხვამლის ნაკრძალს, რომელიც ტვიშის რეზერვუარიდან 100 მეტრშია. აქ ისეთი მღვიმეებია, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი კულტურული დატვირთვა აქვს. რეზერვუარები შეიქმნება რიონის გასწვრივ 27 კილომეტრზე, ეს ნიშნავს, რომ მდინარის ეკოსისტემა სრულიად შეიცვლება. ასევე შეიცვლება კლიმატი, გააქტიურდება ქარები“, - ამბობს მანანა ქოჩლაძე.

ცნობილი ხდება, რომ სოფელ ჟონეთის, საკრისა და მამაწმინდის მოსახლეობა წყალტუბოში, იმ ახალ კორპუსებში დასახლდებიან, რომელთა მშენებლობაც დევნილი ოჯახების დასაკმაყოფილებლად დაიწყო. ოფიციალური პირები კი ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

მანანა ქოჩლაძის განცხადებით კი, განსახლების გეგმა ინვესტორს არ წარმოუდგენია. მისი ინფორმაციით, ინვესტორები სარგებლობენ ექსპროპრიაციის კანონით, რომლის მიხედვითაც განსახლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი.

საინტერესოა, რა უნდა გააკეთოს სოფლის მოსახლეობამ წყალტუბოში აშენებულ კორპუსებში. ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით ირჩენენ თავს, შესაძლოა, ოთხ კედელ შუა გამოკვეთილები აღმოჩნდნენ.

გარდა ამისა, წყალტუბო ბიზნესის მხრივაც არააქტიური ქალაქია. იქ არათუ ჩასახლებულებს, არამედ ძირძველ მოსახლეობასაც უჭირს ელემენტარული ყოფითი პირობებისთვის აუცილებელი შემოსავლის მოპოვება. „ნახევრად მკვდარ“ ქალაქში, აქტიური ყვავილების ჩასახლება და მათი მიწას მოშორება, რა თქმა უნდა, მთავრობის მხარეიდან უგუნური საეციელი იქნება.

„მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელის ნინო ჩხოზაძის თქმით, ინვესტორები მოსახლეობის ნაწილს კომპენსაციას პირდება. ჩხოზაძის ინფორმაციით, მოსახლეობის დიდი ნაწილი განსახლების წინააღმდეგია, ნაწილი კი სოლიდური კომპენსაციის მიღების იმედით ამ გადაწყვეტილებას ეთანხმება.

„ეს 14 სოფელი ნებისმიერ ადგილზე შეიძლება ჩაასახლონ. ჯერ განსახლების გეგმა არ არსებობს. არის იკვდე სხვა ღირებულებები, ჩვენ ვკარგავთ მთლიანად ხეობას“, - ამბობს ნინო ჩხოზაძე.

ჩხოზაძე ირწმუნება, რომ „ნამახვანის“ პროექტი ტექნიკურად დაუსაბუთებელია. გარდა ამისა, ჩხოზაძის თქმით, ამ პროექტიდან საქართველოს ვერც ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს, ვინაიდან ჰესის მიერ გამოშვებული ელექტროენერჯიას თურქები საკუთარ ქვეყანაში წაიღებენ.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი კი პრესასთან საუბარში აცხადებს, რომ აღნიშნულ პროექტზე პროფესიონალი ინჟინრები მუშაობენ.

„ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით შეიძლება უამრავი პრეტენზიები არსებობდეს, ამისთვის საჯარო განხილვები მოეწყობა. რაც შეეხება ტექნიკურ საკითხს, იგი ამ ეტაპზე რევიზიას გადის. კონსორციუმს მაღალი დონის ინჟინრები ჰყავს, რომლებიც ყველა საკითხს დეტალურად სწავლობენ“, - ამბობს ვალიშვილი.

Like Send Bookmarks Email

ნანახია: 2-ჯერ

კომენტარები:

გაიარეთ რეგისტრაცია

სარეკლამო ბანერი

სარეკლამო ბანერი 270 X 300

სარეკლამო ბანერი 270 X 150

TV 9 LIVE

ბლოგი ვიდეო 2012-03-01 14:52:48

სარეკლამო ბანერი 270 X 150

ვალუტა

სახელი:

პაროლი:

შესვლა

	USD - 1.6294		CAD - 1.6015
	EUR - 2.0685		AMD - 3.9217
	GBP - 2.5635		JPY - 2.0633
	TRY - 0.9093		UAH - 2.0387
	RUB - 5.0110		AZN - 2.0738

სარეკლამო ბანერი

270 X 150

ამინდი

თბილისი

დღეს	ხვალ	ზეშ
14°	30°	12°
31°	16°	

სარეკლამო ბანერი

270 X 150

2912766
51267
TOP.GE 7728